განკარგულება:**გ-23. 23230242**
თარიღი:**24/01/2023**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრისა და მუნიციპალური ქონების პრივატიზების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1–ლი ნაწილის „ე“ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-2 მუხლის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად:

1. განისაზღვროს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე წლიური საიჯარო ქირის ოდენობა დანართი N1-ის მიხედვით.
2. დამტკიცდეს მუნიციპალური უძრავი ქონების პრივატიზების ნუსხა დანართი N2-ის მიხედვით.
3. დამტკიცდეს მუნიციპალური მოძრავი ქონების პრივატიზების ნუსხა დანართი N3-ის მიხედვით.
4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას.
5. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
6. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) განკარგულების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის
2022 წლის 26 ოქტომბრის N22-222229957
და N22-222229954 მომართვები.

ვახტანგ ღამბაშიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი